საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 84

21 06 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 ივნისის N03/3955 წერილის განხილვის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 ივნისის სხდომის N11 ოქმის მე-2 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 ივნისის N03/3955 წერილის გათვალისწინებით, ,,საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N54 დადგენილების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს დანართი N1-ს გათვალისწინებით, დანართი N2-ში მითითებულ სოფლებში სასმელი წყლის მრიცხველების შეძენა-მონტაჟისათვის გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ნაშთი დაამატოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ თანხას.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI